# ხელშეკრულება №30
# სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

სოფელი ფერია 02 სექტემბერი 2014 წელი

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ს [1]" პუნქტის საფუძველზე ერთის მხრივ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერიის საჯარო სკოლის - (საიდენტიფიკაციო N 248386697) წარმოდგენილი სკოლის დირექტორის მ/შ ლეილა დუმბაძის სახით - (შემდგომში „შემსყიდველი"), ხოლო მეორეს მხრივ, შპს„ფელიქსი" „ (საიდენტიფიკაციო №445440880) დირექტორის მანუჩარ ვარშანიძის სახით(შემდგომში „მიმწოდებელი)", ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1.ხელშეკრულების საგანი და ღირებულება

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე „მიმწოდებელი" თანახმაა შემსყიდველს კეთილმოუწყოს ეზოს ტერიტორია დამკვეთის მიერ წარდგენილი პროექტისა და ტექნიკური დოკუმენტების საფუძცელზე,ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი პროექტის საფუძველზე ჩატარებული სამუშაოები და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

1.2. მთლიანი სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 2300( ორიათასსამასი) ლარს

1.3. ეზოს კეთილმოწყობა (CPV კოდი: 45200000) ღირებულება შეადგენს 2300 ლარს.

## 2. საქონლის მიღება – ჩაბარება

2.1. სამუშაო ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გაფორმების შემდეგ.

2.2. სამუშაოს ან მისი ნაწილის მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

2.3. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის ხარისხისა და წუნდების მიზეზის მითითებით

2.4. სამუშაოს შესრულება განხორციელდეს 2014 წლის 28 სექტემბრის ჩათვლით.

## 3. გარანტია

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

3.2. მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები მომსახურების შედეგად მიღებული საქონლის გამოყენების პროცესში წარმოშობილი ხარვეზების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

## 4. ანგარიშსწორება

4.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება მიმწოდებლის მიერ სასაქონლო ზედნადების და/ან საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარდგენის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში .

4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

4.3. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

## 5. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

5.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

5.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

5.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 6. უფლებების გადაცემა

6.1. მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე პირს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

## 7. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

7.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

7.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

## 8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1. ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

## 9. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

9.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ,

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს სრულყოფილად საქონელი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში;

9.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 10. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

10.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადოს მისაღები საქონლის ხარისხი. შემსყიდველმა წერილობითი სახით და თავისდროულად უნდა აცნობოს მიმწოდებელს, ამ მიზნებისათვის განკუთვნილი თავისი წარმომადგენლების შესახებ.

10.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.

10.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული საქონლის შეცვლა და კონტროლის შედეგად დაზიანებული საცდელი ნიმუშების ღირებულების დაფარვა.

10.4. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიისა ან სხვა ვალდებულებებისაგან.

10.5. ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს სოფ.ფერიის საჯარო სკოლის ადმინისტრაციამ.

## 11. ფორს-მაჟორი

11.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2. ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხრისაგან

წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 13. გამოყენებული სამართალი

13.1. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13.2. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის სრულდება ქართულ ენაზე.

## 14. შეტყობინება

14.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

## 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის შემდეგ და მოქმედებს 2014 წლის 10 ოქტომბრის ჩათვლით.

## 16. სხვა დებულებანი

16.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადების, ზეგარის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

ხელშეკრულება შესრულებულია და ხელმოწერილია ორ ეგზემპლარად, საიდანაც თითო ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან“ და „მომწოდებელთან“.

## 17. მხარეთა ზუსტი დასახელება და რეკვიზიტები

| „შემსყიდველი“ | მიმწოდებელი |
|---|---|
| სსიპ სოფ. ფერიის სკოლა | შპს ,,ფელიქსი,, |
| ტელ: 5-32-23, 877-30-42-40 | მის.ბათუმი,ტბელ აბუსერიძის 4 |
| მის: დ. ხელვაჩაური, სოფ.ფერია. | საიდენფიკაციო კოდი №445440880 |
| საბანკო რეკვიზიტები: | სს,,თიბისი ბანკი,, |
| ს.ს. ,,ვითიბი ბანკი ჯორჯიას “ ბათუმის ფილიალი, | ბანკის კოდი; TBCBGE22 |
| ს.კ. 248386697 | ა/ა GE80TB7453636020100001 |
| ბ/კ: UGEBGE22 | ტელ: 514 70 20 02 |
| ა/ა №GE15VT550000000943408 | |
| დირექტორის მ/შ ლეილა დუმბაძე | დირექტორი მამუკა ვარშანიძე |

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

სოფელი ფერია                                                                                    02 სექტემბერი 2014 წელი

,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე–8 მუხლის შესაბამისად ჩვენ ხელის მოწერით ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერიის საჯარო სკოლისა და შპს,,ფელიქს''-ს შორის გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №30(02/09/2014 წ.) ხელშეკრულებით განსაზღვრულ შესყიდვის ობიექტის შესყიდვის განხორციელებაში (გამარტივებული შესყიდვა) არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის

სოფელ ფერიის საჯარო სკოლის

დირექტორის მ/შ                /ლ. დუმბაძე/

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის

სოფელ ფერიის საჯარო სკოლის

კოორდინატორი                /მ. ცისკარაძე/

დამკვეთი: ხელვაჩაურის სოფელ ფერიის საჯარო სკოლა

ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 2300.00(ორიათასსამასი და 00 თეთრი) ლარი

მენარდე: შპს "ფელიქსი" ს/კ 445440880

ხელშეკრულება №30 02 სექტემბერი 2014 წელი

ობიექტის დასახელება:
სოფ. ფერიის საჯარო სკოლის
ეზოს კეთილმოწყობა.

შესრულებული სამუშაოს აქტი
(ფორმა №2) აქტი 1

15 სექტემბერი 2014 წელი

| № | სამუშაოს დასახელება | განზომილების ერთეული | საკონტრ. მონაცემებზე | სახარჯთაღრიცხვო | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | ერთეულის ფასი | საერთო ფასი |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| 1 | ზუმფარით დამუშავება და ანტიკოროზიული საღებავით შეღებვა ორი ფენა | კვ.მ | 138.00 | 3.41 | 471 |
| 2 | ბეტონის 10 სმ-იანი ფილის მოწყობა ბ-15 კლასის ბეტონით | კბ.მ | 9.00 | 130.00 | 1170 |
| | ჯამი | | | | 1641 |
| | ზედნადები ხარჯები | 10% | | | 164 |
| | ჯამი | | | | 1805 |
| | გეგმიური დაგროვება | 8% | | | 144 |
| | ჯამი | | | | 1949 |
| | დ.ღ.გ. | 18% | | | 351 |
| | სულ ჯამი | | | | 2300 |

შ.პ.ს "ფელიქსი"-ს
დირექტორი: მ. ვარშანძე

სოფ. ფერიის საჯარო სკოლის
დირექტორის მ/შ ლ.დუმბაძე

მიღება -ჩაბარების

აქტი

ხელვაჩაური 15 სექტემბერი 2014 წ

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ ს.ს.ი.პ.-ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერიის საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ ლეილა დუმბაძე (შემდგომში „შემსყიდველი") მეორეს მხრივ შპს „ფელიქსი" წარმოდგენილი მისი დირექტორი მანუჩარ ვარშანიძის (შემდგომში „მიმწოდებელი") სახით ვადგენთ წინამდებარე აქტს მასზედ, რომ 2014 წლის 02 სექტემბერს გაფორმებული ხელშეკრულება№30-ის შესაბამისად შპს „ფელიქს"-მა გაუწია ს.ს.ი.პ.-ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერიის საჯარო სკოლის ეზოს კეთილმოწყობის სამოშაოები. რომლის საერთო ღირებულებაა 2300 (ორიათასსამასი) ლარი.

გაწეული სამუშაოს მიმართ მხარეებს პრეტენზია არ გააჩნიათ.

აქტი სწორეა რასაც ვადასტურებთ ხელმოწერით.

„შემსყიდველი" „მიმწოდებელი"

-------------ლეილა დუმბაძე -------------------მანუჩარ ვარშანიძე

„ვამტკიცებ"

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ

ფერიისსაჯარო სკოლის დირექტორის მ/შ /ლ. დუმბაძე

16 სექტემბერი 2014 წელი

სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერიის საჯარო სკოლის მიერ
სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების ინსპექტირების ჯგუფის
მიღება-ჩაბარების აქტი

სოფ.ფერია 16 სექტემბერი 2014 წ.

ერთის მხრივ შპს „ფელიქსის "-ის დირექტორმა მანუჩარ ვარშანიძემ და მეორეს მხრივ სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერიის საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ-ის 2014 წლის 10 სექტემბრის №01-03/49 ბრძანებით შექმნილმა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულების ინსპექტირების ჯგუფმა 2014 წლის 02 სექტემბრის №30 ხელშეკრულების საფუძველზე პირველმა ჩააბარა,ხოლო მეორემ მიიღო 2014 წლის 02 სექტემბრის №30 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები,კერძოდ:

| № | სამუშაოს დასახელება | განზომილება | რაოდენობა | ღირებულება |
|---|---|---|---|---|
| | **ეზოს კეთილმოწყობა** | | | |
| 1 | ზუმფარით დამუშავება და ანტიკოროზიული საღებავით შეღებვა ორი ფენა(ეზოს ღობე) | კვ.მ. | 138 | 660.15 |
| 2 | ბეტონის 10 სმ-იანი ფილის მოწყობა ბ-15 კლასის ბეტონით | კბ.მ | 9 | 1639.85 |
| | ჯამი | | | 2300 |

ფორმა №2-ით წარმოდგენილი ერთეული,მოცულობები შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოცულობებს.

ჩააბარა: შპს,,ფელიქსის" დირექტორი: /მანუჩარ ვარშანიძე/

მიიღო: დირექტორის მოადგილე ,ინსპექტირების ჯგუფის თავმჯდომარე: /თამარ ბერიძე/

კორდინატორი: /მერი ცინცარაძე/

პედაგოგი,სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე: /თეონა აბაშიძე/

დანართი NoIII-05

დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის

31.12.2010 წ. N996 წლის ბრძანებით

# საგადასახადო ანგარიშფაქტურა

გადაგზავნილი

| 1 | ეა-70 2365081 |
|---|---|

| 3 | სექტემბერი | 2014 |
|---|---|---|

ოპერაციის განხორციელების პერიოდი

(თვე სიტყვიერად, წელი)

| 4 | 16 | სექტემბერი | 2014 |
|---|---|---|---|

გამოწერის თარიღი

(რიცხვი, თვე სიტყვიერად, წელი)

5 გამყიდველი

| 5.1 | 4 | 4 | 5 | 4 | 4 | 0 | 8 | 8 | 0 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

| 5.2 | შპს ფელიქსი |
|---|---|

დასახელება (სახელი, გვარი)

6 მყიდველი

| 6.1 | 2 | 4 | 8 | 3 | 8 | 6 | 6 | 9 | 7 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

| 6.2 | სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერიის საჯარო სკოლა |
|---|---|

დასახელება (სახელი, გვარი)

| საქონლის (მომსახურების) დასახელება | ზომის ერთეული | მიწოდებული საქონლის რაოდენობა | საქონლის (მომსახურების) ღირებულება დღგ-ს და აქციზის ჩათვლით | მათ შორის | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | | დღგ-ს თანხა | აქციზის თანხა |
| სსიპ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ფერიის საჯარო სკოლის ეზოს კეთილმოწყობა (ხელშეკრულებაN30) | მომსახურება | | 2300.0000 | 350.8500 | 0.0000 |
| | | სულ | 2300 | 350.85 | 0 |

სასაქონლო ზედნადების No | თარიღი

ხელმძღვანელის, ან სხვა უფლებამოსილი პირის | მყიდველს ჩაბარდა ხელზე

ხელმოწერა____________________ ბ.ა. ხელმოწერა____________________ ბ.ა.